# ლისაბონისა და მადრიდის მთავარეპისკოპოსმა ნესტორიმ პორტუგალიის ქალაქ ლოლეში ლიტურგია აღავლინა



2021 წლის 29 აგვისტოს, სულთმოფენობიდან მე-10 კვირიაკეს, ლისაბონისა და მადრიდის მთავარეპისკოპოსმა ნესტორიმ ქალაქ ლოლეს (პორტუგალია) სამრევლოში სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა.

მწყემსთმთავარს თანამსახურებდნენ პორტუგალიის სამრევლოების კეთილმოწესე დეკანოზი იოანე გერბოვეცკი, დიაკონი გლებ ზაიკა და დიაკონი ალექსი ჩესნოკოვი.

ღვთისმსახურებას ესწრებოდა ქალაქის მერი ვიქტორ ალეიშუ, იტყობინება ეპარქიის საიტი.

განტევების შემდგომ მთავარეპისკოპოსმა ნესტორიმ მისასალმებელი სიტყვით მიმართა თანამსახურ სასულიერო პირებსა და მრევლს, ასევე გულითადი მადლიერება გამოხატა ქალაქის მერისადმი მის მიერ გაწეული შრომისათვის ყოფილი ნახევრად დანგრეული სამლოცველოს Portas do Céu აღდგენისა და

მართლმადიდებელი სამრევლოსთვის მისი გადაცემისათვის.

პირველი მართლმადიდებლური ლიტურგია ქალაქ ლოლეს სამლოცველოში ამა წლის 10 აპრილს ჩატარდა.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87930/